საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1 30 იანვარი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 29

კობა ხაბალაშვილის პრემირების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 9 დეკემბრის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ №49 დადგენილების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუშაობის შედეგებში შეტანილი პირადი წვლილისა და საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს – კობა ხაბალაშვილს მიეცეს პრემია ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

მუხლი 2. ბრძანება ხელმოწერისთანავე გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **ალეკო მამეშვილი**

Created by free version of DocuFreezer